

ანა ბავარდაშვილი

**შავი ზღვის ეკოლოგიური
პარამეტრების კვლევა
მულტიმედიაური ბაზების
საფუძველზე**



თბილისი 2017

ანა გავარდაშვილი

შავი ზღვის ეკოლოგიური
პარამეტრების კვლევა
მულტიმედიური ბაზების
საფუძველზე

დამტკიცებულია მონოგრაფიად
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის
ინსტიტუტის სამეცნიერო სასწავლო მეთოდური
ლიტერატურის სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს
მიერ, ოქმი №18, 14 ივნისი 2017

მონოგრაფია გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის სადოქტორო საგრანტო პროექტის
(დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების
საგრანტო კონკურსი №DO/159/4-130/14) ფინანსური
მხარდაჭერით.



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2017

UDC(უკ) 551.46(262.5) + 574(262.5)
გ-15

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION



სამეცნიერო რედაქტორი: **გია სურგულაძე**
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **ლილი პეტრიაშვილი**
ტექნ. მეცნ. კანდიდატი,
აკად. დოქტორი, ასოც. პროფესორი

ვაჟა ტრაპაიძე
ტექნ. მეცნ. კანდიდატი,
აკად. დოქტორი, ასოც. პროფესორი

© 2017 წელი, ანა გავარდაშვილი

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge; universal505@gmail.com

ISBN 978-9941-26-067-4

შინაარსი

რეზიუმე	5
Summary	8
აბრევიატურების ნუსხა	11
მადლიერება	13
შესავალი	15
თავი 1. შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების შეფასება და ანალიზი	22
თავი 2. შავი ზღვის აკვატორიაში განხორციელებული საველე-ექსპედიციური კვლევები და მათი შეფასება	30
2.1. საველე-ექსპედიციური კვლევის პირველი ეტაპის შედეგები	30
2.2. საველე-ექსპედიციური კვლევის მეორე ეტაპის შედეგები	40
2.3. შავი ზღვის ძირითადი მდინარეების ესტუარებში საველე-სამეცნიერო კვლევის შედეგები	47
თავი 3. შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა საიმედოობისა და რისკი თეორიის გამოყენებით	57
3.1. შავი ზღვის წყლისა და ჰაერის ფარდობითი ტემ- პერატურის პროგნოზი	57
3.2. შავი ზღვის წყლის მარილიანობის (TDS) პროგნოზი	65
3.3. შავი ზღვის წყლის მჟავიანობის (pH) პროგნოზი	73
3.4. საქართველოს საზღვაო პორტებში და ნავთობსა-	

დენის ტერმინალებში შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა	82
3.5. შავი ზღვის აკვატორიაში ზამთრის სეზონის საველე კვლევების განხორციელება	94
3.6. შავი ზღვის წყლის დაბინძურების ლაბორატორიული ქიმიური გამოკვლევა	101
თავი 4. შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა მულტიმედიური ბაზების საფუძველზე	105
4.1. შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა და მისი კონცეპტუალური მოდელის აგება ობიექტ-როლური მოდელირების (ORM/ERM) საფუძველზე	105
4.2. შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების მულტიმედიური მონაცემთა ბაზის შედგენილობის და სტრუქტურის განსაზღვრა და დაპროექტება ...	109
4.3. შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების მონაცემთა ბაზის აგება Ms SQL Server პაკეტის სამუშაო გარემოში	112
4.4. სისტემის ფუნქციონალური ამოცანების მეთოდების და მოვლენების ალგორითმული სქემების შემუშავება ობიექტ- და სერვის-რიენტირებული არქიტექტურით	119
4.5. სისტემის მომხმარებელთა SQL - მოთხოვნების დამუშავების სცენარების აგება და პროგრამული კოდების აგება, ტესტირება	125
დასკვნა	131
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა	134

რეზიუმე

საქართველოს საზღვრებში შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების პროგნოზირების მიზნით თანამედროვე კომპიუტერული პროგრამირებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელდა საველე-სამეცნიერო და თეორიული კვლევები და სტატისტიკური მეთოდების, საიმედოობისა და რისკის თეორიის მხედველობაში მიღებით მიღებულ იქნა შემდეგი მეცნიერული შედეგები:

- შავი ზღვის აკვატორიაში GPS და GIS პროგრამების გამოყენებით განხორციელებული საველე-სამეცნიერო კვლევებით, რომლებიც 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, დაფიქსირდა სენსიტიური უბნები;
- შავი ზღვის აკვატორიაში 35 სენსიტიურ წერტილში, ძირითადი მდინარეების ესტუარებსა და საზღვაო პორტებში აღებულ იქნა ზღვის წყლის ანალიზები, გაზომილ იქნა წყლისა (t_1) და ჰაერის ტემპერატურები (t_2), ხოლო ლაბორატორიულ პირობებში დადგენილ იქნა ზღვის წყლის მჟავიანობისა (pH) და მარილიანობის რაოდენობრივი მაჩვენებლები (TDS);
- დაზუსტებულია საქართველოს ძირითადი მდინარეების ესტუარების ფართობები, რომელთა სიდიდეც იცვლება $0,861 \pm 20,390$ კმ² საზღვრებში. ლაბორატორიული კვლევებით დადგენილია, რომ შავი ზღვის წყლის მჟავიანობა (pH) მდინარეთა ესტუარებში იცვლება $pH = 7,71 \pm 8,22$ საზღვრებში, ხოლო პორტების აკვატორიაში კი – $pH = 8,42 \pm 8,65$. რაც შეეხება მარილიანობის

მაჩვენებელს (TDS), ის იცვლება მდინარეთა ესტუარებში – $TDS = 6,15 \div 12,67$, პორტების შემთხვევაში კი – $TDS = 11,80 \div 13,67$ საზღვრებში, რაც აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შავი ზღვის სანაპირო ზოლში ეკოლოგიური პარამეტრების კომპლექსური კვლევისას;

- საველე-სამეცნიერო კვლევების შედეგად მიღებული სტატისტიკური რიგისა და საიმედოობისა და რისკის თეორიის გამოყენებით დადგენილია შავი ზღვის აკვატორიაში განთავსებულ საზღვაო პორტებსა და ნავთობსადენის ტერმინალებში შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების – ზღვის წყლისა (t_1) და ჰაერის ტემპერატურის (t_2) ფარდობითი სიდიდეების (t_1/t_2), წყლის მჟავიანობისა (pH) და მარილიანობის (TDS) ჰისტოგრამა და თეორიული განაწილების მრუდი, რომელიც ზემოთ აღნიშნული ეკოლოგიური პარამეტრების პროგნოზირების საშუალებას იძლევა;
- ლაბორატორიულ პირობებში დადგინდა შავი ზღვის წყლის მძიმე მეტალებით – თუთია (Zn^{2+}), რკინა (Fe), კადმიუმი (Cd), სპილენძი (Cu), ტყვია (Pb) დაბინძურების რაოდენობრივი მაჩვენებლები, რომელთა სიდიდეებიც ევროკავშირისა და საქართველოს ნორმატივების მიხედვით ნაკლებია აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულ ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე;
- მულტიმედიური ბაზების ძირითადი საფუძვლების გამოყენებით ნაშრომში შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევისათვის შესწავლილია:

- ✓ შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა და მისი კონცეპტუალური მოდელის აგება ობიექტ-როლური მოდელირების (ORM/ERM) საფუძველზე;
- ✓ შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების მულტიმედიურ მონაცემთა ბაზის შედგენილობისა და სტრუქტურის განსაზღვრა და დაპროექტება;
- ✓ შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების მონაცემთა ბაზის აგება Ms SQL Server პაკეტის სამუშაო გარემოში;
- ✓ სისტემის ფუნქციონალური ამოცანების მეთოდებისა და მოვლენების ალგორითმული სქემების შემუშავება ობიექტ- და სერვის-ორიენტირებული არქიტექტურით;
- ✓ შავი ზღვის ეკოლოგიური სისტემის ანალიტიკოსის სამუშაო ადგილის ინტერფეისის დაპროექტება მულტიმედიური მონაცემთა ბაზით. სისტემის მომხმარებელთა SQL-მოთხოვნების დამუშავების სცენარებისა და პროგრამული კოდების აგება, ტესტირება.

SUMMARY

With a view to predicting ecological parameters of the Black Sea within the boundaries of Georgia as well as with the application of contemporary computer programs and technologies, field-scientific and theoretical research were carried out and considering statistical methods, reliability and risk theories, the following scientific results were obtained.

As a result of the field-scientific research carried out within the basin of the Black Sea by using GPS and GIS programs, sensitive areas were observed on which scientific research was being carried out for three years.

Within the basin of the Black Sea samples of sea water were taken from 35 sensitive spots, on the firths of main rivers and at sea ports, temperatures of sea water (t_1) and air (t_2) were measured as well while quantitative indicators of degrees of acidity of sea water (pH) and saltiness (TDS) were determined under laboratory conditions.

Areas of firths of main rivers of Georgia were specified the size of which ranges between 0,861 km and 20 390 km while laboratory research showed that acidity degree of the Black Sea water (pH) was ranging in the firths of the rivers between $\text{pH} = 7,71 \div 8,22$, while within the basin of ports it was ranging between $\text{pH} = 8,42 \div 8,65$; as for indicators of saltiness (TDS) in the firths it was ranging within $\text{TDS} = 6,15 \div 12,67$ while at port – within $\text{TDS} = 11,80 \div 13,67$ that should definitely be taken into account while carrying out a comprehensive

research of ecological parameters along the coastline of the Black Sea.

By using a statistical row obtained as a result of a field-scientific research and reliability and risk theories, at ports and oil terminals situated within the basin of the Black Sea there have been determined ecological parameters of the Black Sea – relative values (t_1/t_2) of temperatures of sea water (t_1) and air (t_2), histogram of sea water acidity (pH) and saltiness (TDS) as well as theoretical distribution curve promoting the prediction of above-mentioned ecological parameters;

Quantitative indicators of pollution of the Black Sea water with heavy metals including Zinc (Zn^{2+}), Ferrum (Fe), Cadmium (Cd), Copper (Cu), Plumbum (Pb) were determined under laboratory conditions, the indicators of which according to the established standards of EU and Georgia are less than permitted level of concentration provided by the document mentioned above.

By using basic principles of multimedia bases as well as with a view to researching ecological parameters of the Black Sea in the thesis work there have been studied the following:

- ✓ Determining ecological parameters of the Black Sea and designing a conceptual model based on object-role modelling (ORM/ERM);
- ✓ Determining and designing the content and structure of multimedia data base of ecological parameters of the Black Sea;
- ✓ Establishing a database of ecological parameters of the

Black Sea in the working environment of Ms SQL Server package;

- ✓ Developing functional task methods of the system and algorithm schemes of events by using object-and-service oriented architecture;
- ✓ Designing an interface of a workplace of an analyst of the ecological system of the Black Sea by using a multimedia database;
- ✓ SQL of system users – making a scenario for processing requests and forming up program codes, testing.

აბრევიატურების ნუსხა

PS – სატელიტური სანავიგაციო სისტემა

GIS – საინფორმაციო გეოგრაფიული სისტემები

MIKADO – ჯავა პაკეტზე დაწერილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ახდენს მონაცემთა კონვერტაციას XML ფორმატში SeaDataNet დირექტორიებისათვის

NEMO – enables conversion from any type of ASCII format to the SeaDataNet ODV and Medatlas ASCII formats – ASCII კოდის კონვერტაცია SeaDataNet ODV და Medatlas ASCII ფორმატში

ODV – Ocean Data View – ოკეანოგრაფიული მონაცემთა ანალიზისა და ვიზუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა

DIVA – Data-Interpolating Variational Analysis - მონაცემთა ინტერპოლაციური ანალიზი) ანალიზის შედეგების ოპტიმალური სქემური ასახვა

BPMN – Business Process Model & Notation – ბიზნეს პროცესების მოდელირება

UML – Unified Modelling Language – უნიფიცირებული მოდელირების ენა

ORM – Object Role Model - მონაცემთა მოდელირება

ERM – Entity-Relationship Model – მონაცემთა მიმოცვლის გრაფიკული მოდელი

Ms SQL Server – Relational database management system – რე-
ლაციურ მონაცემთა ბაზა

CASE – კომპიუტერის ძირითად კომპონენტთა ბაზა

WPF – Windows Presentation Foundation – ინტერფეისის
გენერირება

TDS – Total dissolved salts – გახსნილი მარილების საერთო
რაოდენობა

pH – წყალბად-იონთა მაჩვენებელი (მჟავიანობა)

მადლიერება

ნება მომეცით დიდი მადლიერება გამოვხატო ჩემი დისერტაციის ხელმძღვანელის, პროფ. გია სურგულაძის მიმართ, რომელიც თავის მრავალმხრივ ცოდნასა და გამოცდილებას მიზიარებდა როგორც დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, სადისერტაციო ნაშრომის, ასევე მონოგრაფიის მომზადების ყველა ეტაპზე. მადლობას ვუხდით მას შემოთავაზებული თემის, სამუშაოსადმი გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისთვის.

აგრეთვე, მადლიერი ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის პროფესორ ზურაბ წვერაიძის და ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა, ასევე მართვის ავტომატიზებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის) დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფესორ გია სურგულაძესა და მისი თანამშრომლების.

მადლიერი ვარ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, რომლის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა სადისერტაციო ნაშრომი, სადაც წარმოდგენილია სადოქტორო საგრანტო პროექტში (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი №DO/159/4-130/14) მიღებული შედეგები.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით განხორციელდა როგორც სავლე-სამეცნიერო და ლაბორატორიული კვლევები, ასევე დამუშავებული სამეცნიერო მასალების პრეზენტაციები საზღვარგარეთ

საერთაშორისო კონფერენციებზე საფრანგეთსა (ქ. პარიზი, 2015 წ.) და ნიდერლანდებში (ქ. ამსტერდამი, 2017 წ.), ასევე საქართველოში, ქ. თბილისსა (2016 წ.) და ქ. ბათუმში (2015 წ.).

მადლობას მოვახსენებ რეცენზენტებს – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებს, აკადემიურ დოქტორებს, ასოც. პროფესორებს ქალბატონ ლილი პეტრიაშვილსა და ბატონ ვაჟა ტრაპაიძეს, რომელთა შენიშვნებისა და სურვილების გათვალისწინებამ მონოგრაფია უფრო საინტერესო და წაკითხვადი გახადა.

მონოგრაფია გამოიცემა სადოქტორო საგრანტო პროექტის (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი №DO/159/4-130/14) ფინანსური მხარდაჭერით.

შესავალი

შავი ზღვა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით აერთიანებს 6 ქვეყანას: ბულგარეთს, რუმინეთს, უკრაინას, რუსეთს, საქართველოს და თურქეთს. შავი ზღვის მაქსიმალური სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 1150 კმ-ია; ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 580 კმ; ყველაზე ვიწრო ადგილზე – 265 კმ; ფართობი – 422 000 კმ²; წყლის მოცულობა – 555 000 კმ³; მაქსიმალური სიღრმე – 2210 მ; საშუალო სიღრმე – 1240 მ.

საქართველოს დასავლეთით 310 კმ სიგრძეზე ეკვრის შავი ზღვა, რომლის მნიშვნელობა საქართველოსთვის დიდია. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ წარმონაქმნს ქვეყნის ზოგად გეოგრაფიული მდებარეობისათვის, რესურსულ პოტენციალს, რეკრეაციულ ზონას, საგარეო კავშირურთიერთობების ძირითად არტერიას, ზღვის ნაპირები სუსტად არის შეჭრილ-შემოჭრილი, შესაბამისად, იგი მოხერხებული აკვატორიაა ნაოსნობისათვის. ჟანგბადით მხოლოდ ზედა – 50 მ სიღრმის წყლის ფენაა მდიდარი. 50 მ-ის ქვევით ჟანგბადის რაოდენობა მცირდება და უკვე 200 მ სიღრმეზე სრულიად უმნიშვნელო ხდება. ამ სიღრმეზე, ორგანიზმების ცხოველმოქმედების შედეგად ჩნდება გოგირდწყალბადი ორგანული ნივთიერების დაჟანგვა H_2S -ის გამოყოფით და ჟანგბადის არარსებობის გამო იწყება მისი ხრწნა. გოგირდწყალბადის რაოდენობა სიღრმესთან ერთად მატულობს 0,47 სმ³/ლ-დან 200 მ სიღრმეზე – 5,8 სმ³/ლ-მდე 2000 მ სიღრმეზე [1,5].

საქართველოზე მოდის შავი ზღვის სანაპიროს სიგრძის 9% – 310 კმ. გარდა ამისა, იგი დიდ გავლენას ახდენს საქართველოს ჰავის ფორმირებაზე. ამჟამად, 200 კმ შავი ზღვის აკვატორიისა ანექსირებულია რუსეთის მიერ და, შესაბამისად, ქვეყნის მთავრობა ექსპლუატაციას უწევს შავი ზღვის აკვატორიას მხოლოდ 110 კმ სიგრძეზე.

საქართველოს საზღვრებში არსებულ შავი ზღვის აკვატორიაში ბოლო წლებში (2012-2014 წ.წ.) დაფიქსირებულია შტორმებმა, რომელთა სიმძლავრე აღემატებოდა 5 ბალს, დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობასა და ქ. ბათუმში სანაპიროზე განთავსებულ ბულვარს, დაანგრია სანაპირო ზოლი თითქმის 5 კმ სიგრძეზე (სურ. 1), ქ. ქობულეთში მწყობრიდან გამოვიდა 100 მ-მდე სიგრძის რკინაბეტონის ნაპირდამცავი კედელი, დაიტბორა ტერიტორიები, ასევე დიდი ზიანი განიცადა გრიგოლეთსა და ანაკლიაში ტურიზმის ინფრასტრუქტურამ, კერძოდ, დაიტბორა და სილით აივსო სასტუმროები, კოტეჯები, კაფე-ბარები და ა.შ. სურ. 2-ზე ნაჩვენებია შავ ზღვაში 5-ბალიანი შტორმის ხედი მწვანე კონცხის მიმდებარე ტერიტორიაზე [6, 7].

კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე იმატა შავი ზღვის აკვატორიაში ჩამდინარე მდინარეთა კალაპოტებში წყალდიდობების წარმოშობის სიხშირემ, რომელთა ესტუარებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ხშირია ზღვის სანაპირო ზოლის ეროზია (აბრაზია), რაც მთავრდება უარყოფითი ეკოლოგიური შედეგით, კერძოდ, მიმდინარეობს ზღვის მიერ საქართველოს საზღვრებში სანაპირო ზოლის - ხმელეთის მიტაცება და ხმელეთის

სიღრმეში ზღვის შემოსვლა [8, 13].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შავ ზღვაზე განთავსებული ქვეყნის სტრატეგიული მიმართულები: ქ. ბათუმის, ქ. ფოთის, სოფ. ყულევის და მშენებარე ანაკლიის საზღვაო პორტების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც პირდაპირ უკავშირდება შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების მეცნიერულ შესწავლასა და მის სრულყოფას, პროგნოზირებას თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, შავი ზღვის ეკოლოგიური გარემო ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია წყალში ბაქტერიების, ჟანგბადის რაოდენობა (%), მარილიანობა (TDS), შავი ზღვის წყლის მჟავიანობის (pH), ჰაერისა (t_1) და ზღვის ტემპერატურა t_2 ($^{\circ}\text{C}$), განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზღვის ვერტიკალურ ფენაში (სიღრმე 100 მ) ჟანგბადის რაოდენობის შესწავლას, სადაც ფოტოსინთეზი აქტიურია და ხელს უწყობს ზღვის ფლორისა და ფაუნის სიცოცხლისუნარიანობას [14, 20].

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შავი ზღვის ეკოლოგიური საკითხების მეცნიერული კვლევა და მისი პროგნოზირება თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით, საქართველოსთვის მეტად აქტუალურია, იგი წარმოადგენს ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებას, ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების შენარჩუნება და დაცვა ქვეყნის მთავრობას აღიარებული აქვს, როგორც სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება.



სურ. 1. ადლის გარეცხილი სანაპირო



**სურ. 2. შავ ზღვაზე მწვანე კონცხის მიმდებარე
ტერიტორიაზე 5-ბალიანი შტორმი**

კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საქართველოს საზღვრებში არსებული შავი ზღვის აკვატორიაში, ძირითადი მდინარეების ესტუარებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ზღვის სანაპირო ზოლის ახალი მოწყვლადი უბნების დაფიქსირება GPS კოორდინატებში და მათი დატანა ციფრულ რუკაზე, შავი ზღვის წყლის საველე-სამეცნიერო და ლაბორატორიულ-ქიმიური კვლევა, მონაცემთა ახალი ბაზის შექმნის მიზნით მიღებული სტატისტიკური რიგის შეფასება და დამუშავება თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების MIKADO, NEMO, ODV და DIVA-ს გამოყენებით და საბოლოოდ, შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა ობიექტ-ორიენტირებულ მულტიმედიურ მონაცემთა ბაზის საფუძველზე [21, 25].

განხორციელებული მეცნიერული კვლევა საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ შავ ზღვაში ძირითადი ეკოლოგიური პარამეტრები, დავაზუსტოთ მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონის გათვალისწინებით დავაზუსტოთ ზღვის სანაპირო ზოლის ახალი მოწყვლადი უბნები გეოგრაფიული GPS კოორდინატების მიხედვით, რაც შემდეგ ეტაპზე საშუალებას მოგვცემს კომპლექსურად შევაფასოთ შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები და დაიგეგმოს მისი სანაპირო ზოლისა და მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადისერტაციო ნაშრომში თეორიული კვლევაში წარმოდგენილია შავი ზღვის ძირითადი ეკოლოგიური პარამეტრების, კვლევა მულტიმედიური მონაცემთა ბაზების გამოყენებით გულისხმობს შემდეგი ძირითადი

ამოცანების გადაწყვეტას:

- შავი ზღვის არსებული ძირითადი ეკოლოგიური პარამეტრების სისტემის ანალიზი საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. პრობლემების გამოკვეთისა და მათი გადაჭრის გზების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით;
- შავი ზღვის ძირითადი ეკოლოგიური პარამეტრების თანამედროვე ელექტრონული სისტემის მონაცემთა მულტიმედიალური ბაზების ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიებით ინფრასტრუქტურული სქემის შემუშავება, სისტემის არაფუნქციონალურ მოთხოვნილებათა განსაზღვრა;
- შავი ზღვის ძირითადი ეკოლოგიური პარამეტრების ელექტრონული სისტემის მონაცემთა განაწილებული ბაზების სტრუქტურების დასაპროექტებლად ობიექტ-როლური მოდელების (ORM) აგება და კვლევა რევერსიული CASE ტექნოლოგიების გამოყენებით;
- პროექტის შედეგების საფუძველზე ექსპერიმენტული პროგრამული სისტემის რეალიზაცია Ms Visual Studio. NET „საინფორმაციო სისტემების აგება მულტიმედიურ მონაცემთა ბაზებით” პლატფორმაზე, WPF, MsSQL _Server, C#.NET, Natural ORM Architect და BPMN პროგრამული პაკეტების გამოყენებით.

ნაშრომის კვლევის ობიექტია შავი ზღვის ძირითადი ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა მულტიმედიური მონაცემთა ბაზებისა და შესაბამისი მართვის საინფორმაციო სისტემების გამოყენებით. კვლევის მეთოდების სახით

განიხილება: სისტემური ანალიზის მეთოდი, მონაცემთა განაწილებული ბაზების თეორია, მულტიმედიურ მონაცემთა ბაზების თეორია; ობიექტ-ორიენტირებული მოდელირების, ანალიზისა და დაპროექტების მეთოდები; უნიფიცირებული მოდელირების ენა და მისი რეალიზაციის ინსტრუმენტები.

ნაშრომის ორიგინალობა მდგომარეობს შავი ზღვის ძირითადი ეკოლოგიური პარამეტრების, როგორც დიდი და რთული საინფორმაციო სისტემის, პროგრამული უზრუნველყოფის კომპლექსურ შემუშავებაში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე, კერძოდ:

1. აგებულ იქნება შავი ზღვის ძირითადი ეკოლოგიური პარამეტრების მულტიმედიური მოდელები პროცეს-ორიენტირებული ტექნოლოგიების გამოყენებით და ჩატარდება მათი შედარებითი ანალიზი თანამედროვე და ტრადიციულ მოდელებთან მიმართებაში;
2. შემუშავდება მულტიმედიური, საიმედო მონაცემთა ბაზების აგების ტექნოლოგია; ბაზებში განთავსდება დამატებითი დაცვის იდენტიფიკატორების ინფორმაცია – GPS-კოორდინატები, რომლებიც დამუშავდება GIS პროგრამით და აიგება რიცხობრივი ახალი გეოგრაფიული რუკები.

თავი 1. შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების შეფასება და ანალიზი

დედამიწის ერთიან წყლის გარსს, რომლის ზედაპირზეც ხმელეთის ელემენტები -კონტინენტები და კუნძულები გამოიყოფა და რომელიც ერთიანობით, ანუ ნაწილების ურთიერთკავშირითა და მარილების ერთიანი შემადგენლობით ხასიათდება, მსოფლიო ოკეანე ეწოდება.

მსოფლიო ოკეანეს დედამიწის ზედაპირის თითქმის 3/4 (361 მლნ კმ², ანუ 71%) უკავია და მთელი ჰიდროსფეროს წყლების დაახლოებით 96,5%-ს (1,34 მლრდ კმ³) მოიცავს.

მსოფლიო ოკეანის ნაწილი, რომელიც კონტინენტებს შორის არის მოქცეული და ხასიათდება მნიშვნელოვანი ზომებით, წყლისა და ატმოსფეროს ცირკულაციის დამოუკიდებელი სისტემითა და ჰიდროლოგიური რეჟიმის თავისებურებებით, ოკეანედ იწოდება. ზოგჯერ ოკეანეებს ოკეანურ აუზებად ჰყოფენ, მაგრამ ზოგადად მიღებულია ოკეანეში ზღვების, ყურეებისა და სრუტეების გამოყოფა. ზღვა ოკეანის შედარებით მცირე ნაწილია, რომელიც შეჭრილია ხმელეთში ან მისი სხვა ნაწილებიდან კონტინენტების ნაპირებით, ნახევარკუნძულებითა და კუნძულებით.

უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტი ინტენსიურობით წარმოებს ოკეანის ბაზისის გეოლოგიური გენეზისის, სტრუქტურისა და ოკეანის ფსკერის ნალექების მეცნიერული კვლევა-ძიება. ინტერესი ზღვის გეოლოგიისადმი გამოწვეულია ენერგომატარებელი წიაღისეულის სულ უფრო

მზარდი დეფიციტით. მსოფლიო ოკეანის ფსკერზე და მის ქვეშ სასარგებლო წიაღისეულის უზარმაზარი რაოდენობა მოიპოვება, გაცილებით მეტი, ვიდრე ხმელეთზე. ამჟამად, ოკეანის შელფურ ზონაში მსოფლიოში უტილიზებული ნახშირწყალბადის – აირისა და ნავთობის 30%-მდე მოიპოვება. რკინა-მარგანეცის კონკრეციების სახით ოკეანის ფსკერი ინახავს 2 ტრილიონ ტონამდე რკინას და ფერად ლითონებს. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს იშვიათი ელემენტებისა და ძვირფასი მინერალების შემცველი საზღვაო-სანაპირო ქვიშრობების ათვისება და ექსპლუატაცია [20, 23].

ზღვის გეოფიზიკა, რომელიც იყენებს რა ფიზიკის კვლევის მეთოდებსა და ტექნიკას, იკვლევს ოკეანის გეოფიზიკურ ველებს – მაგნიტურ, ელექტრულ, გრავიტაციულ და ოკეანის ფსკერის რელიეფს. ძლიერი ბგერითი წყაროები (აფეთქებები, წყალქვეშა განმუხტვები და სხვ.) წარმოქმნიან ბგერით ტალღებს, რომელთა მიწის ქერქში გავრცელება იძლევა ნალექების სისქისა და სტრუქტურული აგებულების სურათს.

იმ საკითხთა ნუსხა, რომელთა გადაწყვეტაც აკისრია საინჟინრო ანუ გამოყენებით ოკეანოლოგიას, მოიცავს ნაპირსამაგრი საშუალებების კონსტრუქციულ გადაწყვეტასა და დიზაინს, ნავთობმომპოვებელი საბურღი ბაქნების შექმნასა და მათი საიმედოობის ამღლებას, საზღვაო არქიტექტურის (სანაოსნო საშუალებების) განვითარებას და სხვ.

ოკეანოლოგიური კვლევის უკეთ წარმართვისათვის დაარსდა საკოორდინაციო-საერთაშორისო ცენტრები.

კერძოდ, იუნესკოსთან არსებობს საერთაშორისო სამთავრობათშორისო ოკეანოგრაფიული კომისია (MOK), განხორციელებულია ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის შემკრები და განზოგადებული რეგიონალური ცენტრების შექმნა ნიუ-იორკში, მოსკოვსა და მელბურნში, გადაიდგა პირველი ნაბიჯები პლანეტარული სადამკვირვებლო ქსელისა და მონიტორინგის სისტემის შესაქმნელად, რომელიც ითვალისწინებს როგორც დისტანციური ზონდირების, ისე ადგილზე მოპოვებული საზღვაო მონაცემებისა და ინფორმაციის ერთიან სტანდარტში მოქცევას, დამუშავებასა და გავრცელებას [14, 21, 25].

ბოლო ათეულ წელიწადში შავი ზღვის ოპერატიული ოკეანოგრაფიის უდიდესი მიღწევაა შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემის შემუშავება, რაც შესაძლებელი გახდა იმ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, რაც მიიღწევა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ამ სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია მ. ნოდისას გეოფიზიკის ინსტიტუტში შემუშავებული შავი ზღვის რეგიონული პროგნოზის სისტემა შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილისათვის, რომელიც მოიცავს საქართველოს სანაპირო ზონას და მის მიმდებარე აკვატორიას [26, 31].

რეგიონული პროგნოზის სისტემა შედგება ჰიდროდინამიკური და ეკოლოგიური ბლოკებისაგან. ჰიდროდინამიკური ბლოკის ძირითადი ბირთვია გეოფიზიკის ინსტიტუტის მაღალი გარჩევის უნარიანობის მქონე შავი ზღვის დინამიკის რეგიონული მათემატიკური მოდელი. ეკოლოგიური ბლოკის შემადგენელი ნაწილებია ზღვის გარემოში დამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა გავრცელების

ორ და სამგანზომილებიანი მათემატიკური მოდელები. რეგიონული პროგნოზის სისტემა საშუალებას იძლევა გამოვთვალოთ ზღვის აღმოსავლეთ აკვატორიაში ძირითადი დინამიკური ველების – დინების, ტემპერატურისა და მარილიანობის 3-დღიანი პროგნოზი 1 კმ სივრცითი გარჩევის უნარიანობით, ხოლო საგანგებო სიტუაციების დროს ვიწინასწარმეტყველოთ აგრეთვე ზღვაში ჩაღვრილი ნავთობისა და სხვა მინარევების გავრცელების არეები და კონცენტრაციები.

რეგიონული პროგნოზის სისტემის შემდგომი სრულყოფა დაკავშირებულია ზღვის ღელვიანობის პროგნოზისა და ბიოქიმიური პროცესების მოდელების ჩართვასთან პროგნოზულ სისტემაში. გარდა ამისა, შემუშავდება პროგნოზული სისტემის გაცილებით მაღალი გარჩევის უნარიანობის მქონე ვერსია, რომელიც გამოყენებული იქნება აჭარის სანაპირო ზონისა და ქ. ფოთის აკვატორიისათვის (სივრცითი ბიჯით 50-100 მ). ამ ვერსიის ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ძირითად ვერსიასთან ერთობლივად. ამგვარად, შეიქმნება კომპლექსური ოპერატიული რეგიონული პროგნოზის სისტემა, რომელიც გააერთიანებს 1 კმ-ის გარჩევის უნარიან პროგნოზულ სისტემას მთლიანად საქართველოს სანაპირო ზონისათვის და 50-100 მ გარჩევის უნარიან პროგნოზულ ქვესისტემას – აჭარის სანაპირო ზონისა და ქ. ფოთის აკვატორიისათვის.

სახელმძღვანელოში „ზოგადი ოკეანოლოგია“ [9] წარმოდგენილია ოკეანისა და ზღვის ძირითადი ეკოლოგიური პარამეტრების პროგნოზირების აუცილებლობა და

შეფასებულია ოკეანისა და ზღვის ძირითადი ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და კლიმატური პარამეტრები.

ნაშრომში „ოკეანოლოგიისა და ინფორმაციის მენეჯმენტი“ [10] აღნიშნულია, რომ ოკეანოლოგიურ მონაცემთა მართვისა და განკარგვის (მენეჯმენტის) არსებული ფილოსოფია, სტრუქტურა და მიდგომა მსოფლიო ოკეანის დაკვირვების სისტემის პარალელურად და მასთან ერთად ჩამოყალიბდა. სწორედ ოკეანის დაკვირვების სისტემამ, რომელიც თავიდან კლიმატის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა, განსაზღვრა მონაცემთა მართვის სისტემის აუცილებლობა. იგი, ერთის მხრივ, ეფუძნება გარკვეულ შედეგზე გათვლილ მოკლევადიან საერთაშორისო პროექტებს, (მაგ. WOCE- <http://www.wocediu.org>, TOGA-<http://lwf.ncdc.noaa.gov/oa/coare> და ა. შ.) და, მეორეს მხრივ, განპირობებულია ისეთი მუდმივმოქმედი სამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობითა და ხელშეწყობით, როგორცაა:

GLOSS-<http://www.pol.ac.uk/psmsl/programmes/gloss.info.html>;
IGOSS- <http://www.ioc.unesco.org/igossweb/igoshome.htm> და
IODE - <http://www.iode.org>.*

ევროკავშირის საგრანტო პროექტის (FP7) „UP-GRADE BS-SCENE“ „შავი ზღვის აუზის სამეცნიერო ქსელის გაუმჯობესება (კონტრაქტორი №226592) საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობდა ევროკავშირის 16 ქვეყნის 51 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და უნივერსიტეტი, მათ შორის სტუ-ს ც. მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობისა და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტები (2009-2011 წ.წ.), შავი ზღვის აკვატორიის გარემოს დაცვის

მიზნით დამუშავებულია შავი ზღვის ქვეყნების სანაპირო ზოლში მიმდინარე ეკოლოგიური პრობლემების ძირითადი ფაქტორების პროგნოზირებისა და მონიტორინგის მონაცემები, რაც გამოქვეყნებულია მონოგრაფიებში, სამეცნიერო სტატიებში, ნორმატიულ და საგრანტო პროექტებში [27].

უნდა აღინიშნოს შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდით დაფინანსებული საგრანტო პროექტით (№FR/115/9-180/13) 2014-2017 წ.წ., შესრულებული კვლევები „საქართველოს შავიზღვისპირა კურორტების მოკლე დახასიათება, ზღვის აკვატორიაში და მასში ჩამდინარე მდინარეების წყლის ხარისხის შეფასება“ [7, 8], სადაც ეკოლოგიური უსაფრთხოების პოზიციიდან წარმოდგენილია შავი ზღვის და მასში ჩამდინარე მდინარეების წყლის ხარისხის პროგნოზისათვის მონიტორინგის აუცილებლობა, რათა რაც შეიძლება ნაკლები დამაბინძურებელი ნივთიერებები მოხვდეს შავ ზღვაში. გარემოს დაცვის თვალსაზრისით განხორციელებულია ზღვის სანაპირო ზოლის განსაკუთრებით მოქმედი კურორტების პლიაჟების სანიტარულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური უსაფრთხოების მონიტორინგი და კონტროლი.

ნაშრომში [8] „შავი ზღვის აუზის ქვეყნების წყლის დაბინძურების ხარისხის მდინარეების წყლის დაბინძურების ხარისხის შეფასება-პროგნოზირების ერთიანი მონიტორინგის სისტემის შექმნისა და ეკოლოგიური-პრევენციული ღონისძიებების შემუშავების შესახებ“ შემოთავაზებულია მდინარეების წყლის დაბინძურების შეფასება-პროგნოზირებისა და მონიტორინგ-კონტროლის

ერთიანი საინფორმაციო სისტემის აგების შესაძლებლობა, რომელიც გამოიყენება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ტერიტორიული მდინარეების წყლის დაბინძურების ხარისხის შეფასება-პროგნოზირებისათვის, მონიტორინგ-კონტროლის სისტემის შექმნისა და ეკოლოგიურ-პრევენციული ღონისძიებების შემუშავების მიზნით.

ნაშრომში „დაპროგრამების ჰიბრიდული ტექნოლოგიები და მონაცემთა მენეჯმენტი“ [28] განხილულია „მაიკროსოფტის“ კორპორაციის ახალი ჰიბრიდული პროგრამული ტექნოლოგიები მართვის საინფორმაციო სისტემების აპლიკაციების ასაგებად; შემოთავაზებულია MsVisual Studio.NET Framework 4.0/5 ინტეგრირებულ გარემოში Windows- და Web- დანართების (კომპიუტერული სისტემების) დაპროგრამების ინსტრუმენტული საშუალებები WPF, Workflow და WCF ტექნოლოგიებით და Ms SQL Server პაკეტის ბაზაზე. იგი ეფუძნება XAML (სისტემის დიზაინის ნაწილი) და C# (სისტემის ლოგიკური ნაწილი) ენებისა და რელაციური ბაზების კომპლექსურ გამოყენებას. წარმოდგენილია როგორც თეორიული – UML/Agile და ITIL მეთოდოლოგიების, ასევე პრაქტიკული ღირებულების ამოცანები და მეთოდური ინსტრუქციები სხვადასხვა გამოყენებითი სფეროს ავტომატიზებული სისტემების დასაპროგრამებლად.

ნაშრომში – „The Results and Analysis of Studies Carried out in 2011 in the Black Sea Water Area within the Boundaries of Georgia“ [27], რომელიც შესრულებულია ევროკავშირის პროექტი FP7, „UP-GRADE BS-SCENE“ ეგიდით, განხილულია საქართველოს საზღვრებში შავი ზღვის ეკოლოგიური

პარამეტრების კვლევა სტაციონარული და ლაბორატორიული კვლევების გათვალისწინებით. დაფიქსირებულია შავი ზღვის სენსიტიური უბნები და მოცემულია მათი საინჟინრო მეთოდებით შესუსტების გზები.

ზემოთ განხილული და შეფასებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად ცხადი გახდა შავი ზღვის აკვატორიაში არსებული ეკოლოგიური პრობლემების სენსიტიურობა და გადაწყდა საველე-სამეცნიერო და თეორიული კვლევების შედეგად, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, ასევე პროგრამირების ელემენტებს, დასახულიყო სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითადი მიმართულება, რომელიც გულისხმობს – შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევას მულტიმედიური ბაზების საფუძველზე [34÷53].

თავი 2. შავი ზღვის აკვატორიაში განხორციელებული საველე-ექსპედიციური კვლევები და მათი შეფასება

2.1. საველე-ექსპედიციური კვლევის პირველი ეტაპის შედეგები

შავი ზღვის აკვატორიაში საველე-ექსპედიციური კვლევები განხორციელდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის (№DO/159/4-130/14) „შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა მულტიმედიური ბაზების საფუძველზე“ ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოს საზღვრებში შავი ზღვის აკვატორიაში საველე კვლევები განხორციელდა 2015-2017 წლებში.

2015 წლის 10 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე საქართველოს საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში საგაზაფხულო საველე-ექსპედიციური საველე კვლევების მიზანს წარმოადგენდა ძირითადი (მთავარი) მდინარეების ესტუარებისა და მის მიმდებარე მოწყვლადი უბნების დაფიქსირება GPS კოორდინატებში; ზღვის სანაპირო ზოლის სენსიტიურ უბნებზე თურქეთის საზღვრიდან სარფიდან წყლის სინჯების აღება მათი ძირითადი ფაქტორების ადგილზე გაზომვით: წყლისა (t_1) და ჰაერის (t_2) ტემპერატურის დაფიქსირება; წყლის მჟავიანობისა (pH)


და მარილიანობის (TDS) რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა.

შავი ზღვის 110 კმ სიგრძის სანაპირო ზოლში სარფიდან სოფ. განმუხურამდე შერჩეულ იქნა 35 უბანი, სადაც დაფიქსირდა ზემოთ აღნიშნული სიდიდეები (სურ. 3), ხოლო საველე კვლევის ჯამური მონაცემები მოყვანილია ცხრილში 1. სურათებზე 4, 5, 6, 7, 8 და 9 მოცემულია საველე კვლევებისას შავ ზღვასა და მდინარე ენგურზე წყლის ნიმუშების, ჰაერის ტემპერატურისა და მჟავიანობის ადგილზე გაზომვის პროცესები [32].

შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების შეფასების მიზნით განხილულია საველე კვლევების სტატისტიკური რიგისა და კომპიუტერული თანამედროვე პროგრამების ერთობლივი გამოყენების მცდელობა.

წარმოდგენილია თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების (MIKADO, NEMO, ODV ანდ DIVA) მოკლე მიმოხილვა და მათი გამოყენების შესაძლებლობები [44].

მომავალში ვგეგმავთ გამოვიყენოთ შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევისათვის „MIKADO“ და „NEMO“ არსებული ბლოკ-სქემები, ხოლო ზღვის სიღრმეებისა და ტემპერატურის პროგნოზირებისათვის კი „ODV“ და „DIVA“ სქემები (სურ. 10, 11 და 12).



სურ. 3. საქართველოს საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში
 საველე კვლევების ჩატარების სქემა (10-24 ოქტომბერი, 2015)



სურ. 4. შავ ზღვაზე GPS-ით კოორდინატების აღება



სურ. 5. შავ ზღვის წყლის ნიმუშის აღება



სურ. 6. ზღვის წყლის ტემპერატურის გაზომვა



სურ. 7. ზღვის წყლის მუქიანობის გაზომვა




სურ. 8. მდინარე ენგურზე წყლის ტემპერატურის გაზომვა




სურ. 9. მდინარე ენგურზე წყლის მჟავიანობის გაზომვა

შავი ზღვის მონაცემთა ბაზის დამუშავების სქემები „მიკალოს“ და „ნემოს“ პროგრამების გამოყენებით




„მიკალოს“ პროგრამის გამოყენების ბლოკ-სქემა




„ნემოს“ პროგრამის გამოყენების ბლოკ-სქემა

სურ. 10. „მიკალო“-ს და „ნემო“-ს ბლოკ-სქემები



სურ. 11. ზღვის სიღრმეების პროგნოზირების „ოდის“ სქემა



სურ. 12. ტემპერატურის პროგნოზირების „დივას“ ბლოკ-სქემა

ცხრილი 1

საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში
საველე კვლევის შედეგები

№	ადგილის დასახელება	GPS - კოორდინატები		ფარდობითი ტემპერატურა (t _a /t _z)	წყლის მჟავიანობა (pH)	მარილიანობა (TDS)
		X	Y			
1	2	3	4	5	6	7
1	სარფი	41526956	41548731	0,93	8,49	13,45
2	კვარიათი - 1	41545542	41561587	0,93	8,38	12,54
3	კვარიათი - 2	41554651	41563841	0,92	8,42	13,20
4	გონიო	41574588	41565589	0,92	8,37	13,23
5	ჭოროხი - მარცხ. სანაპ.	41596952	41569943	0,92	8,38	12,80
6	ჭოროხი - მარჯვ. სანაპ.	41607866	41577288	0,96	8,42	12,88
7	ადღია	41614371	41583944	0,91	8,23	6,60
8	ბათუმი (დელფინარიუმი)	41649103	41621114	0,86	8,34	11,80
9	ბათუმი (დასაწყისი)	41650823	41666129	0,86	8,36	8,66
10	ბათუმი (ბენზე)	41662161	41678955	0,86	8,11	7,07
11	მახინჯაური (რკინ. სადგ.)	41677322	41694925	0,88	8,28	13,20
12	ჩაქვი	41723714	41727073	0,75	8,27	12,86
13	ბუკნარი	41747684	41737649	0,86	8,38	6,23
14	ციხისძირი	41772644	41755505	0,85	8,32	6,15
15	ბობოყვათი	41797243	41766211	0,88	8,35	11,3

ცხრილი 1 (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7
16	ქობულეთი (მდ. კინტრიშთან)	41811607	41771416	1,00	8,29	5,23
17	ქობულეთი - დ. აღმაშენებლის ქ. 270	41833693	41775383	0,86	8,43	12,98
18	ქობულეთი - დ. აღმაშენებლის ქ. 552	41856175	41777474	0,86	8,56	14,65
19	ქობულეთის ბოლო	41880721	41772763	0,86	8,45	13,87
20	მდ. ჩოლოქი	41895964	41770675	0,90	8,21	15,27
21	მდ. ნატანები	41913572	41767241	0,85	8,45	4,34
22	სოფ. შეკვეთილი	41938746	41764857	0,91	8,43	12,90
23	დაბა ურეკი	41997287	41758008	0,91	8,38	11,76
24	მდ. სუფსა	42016078	41753594	0,90	8,36	12,67
25	სოფ. გრიგოლეთი (დასაწ.)	42038751	41735281	0,90	8,43	13,50
26	სოფ. გრიგოლეთი (ბოლო)	42056578	41723947	0,83	8,25	13,60
27	მდ. მალთაყვა	42092887	41695954	0,87	8,34	7,22
28	ქ. ფოთი (მდ. რიონის სამხრეთი ჩადინება)	42134187	41659283	0,87	8,39	15,32
29	ქ. ფოთი (მაშველები)	42140873	41657926	0,83	8,41	6,37
30	ქ. ფოთი (მოლი)	42147686	41655392	0,78	8,48	13,60
31	ნაბადა (მდ. რიონის ჩრდილოეთი ჩადინება)	42177666	41641295	0,74	8,72	7,80
32	ყულევი	42259918	41637102	0,78	8,37	15,12
33	ანაკლია (რეპერთან)	42382543	41577101	0,78	8,32	14,45
34	ანაკლია (სასტუმროსთან)	4238744	41563028	0,78	8,29	7,67
35	ანაკლია (მდ. ენგურის მარცხენა ნაპირი)	42389302	41560674	0,78	8,32	12,67

2.2. საველე-ექსპედიციური კვლევის მეორე ეტაპის შედეგები

ბოლო ათეულ წელიწადში შავი ზღვის ოპერატიული ოკეანოგრაფიის უდიდესი მიღწევაა შავი ზღვის დიაგნოზისა და პროგნოზის სისტემის შემუშავება, რაც შესაძლებელი გახდა იმ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად, რაც დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან [41-45].

ზღვებისა და ოკეანეების ზედა შერეული ფენა წარმოადგენს წყლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან არეს, რომლის თერმოდინამიკური მდგომარეობა განსაზღვრავს მრავალ მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ პროცესებს ზღვა-ატმოსფერულ გარემოში. იგივეს თქმა შეიძლება შავი ზღვის ტურბულენტური შერეული ფენის შესახებ, რომელიც წარმოადგენს კვლევის მთავარ საგანს [44-46].

ცნობილია, რომ შერეული ფენის სიღრმე ძირითადად განისაზღვრება წყლის თვისებების შეფასებით: ტემპერატურისა და სიმკვრივის (მარილიანობა), მჟავიანობისა და სხვა ძირითადი პარამეტრების დადგენით.


საველე-სამეცნიერო კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საზღვრებში ნავთობსადენის ტერმინალებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა, კერძოდ, წყლისა და ჰაერის ტემპერატურის, მჟავიანობისა და მარილიანობის

მაჩვენებლების გაზომვა, როგორ სტაციონარულ ასევე არასტაციონარულ პირობებში [46].

საველე-სამეცნიერო და ლაბორატორიული კვლევების შედეგად მიღებული სტატისტიკური რიგის დამუშავებით ზუსტდება სისტემის ფუნქციონალური ამოცანების მეთოდებისა და მოვლენების ალგორითმული სქემების შემუშავება ობიექტ- და სერვის-ორიენტირებული არქიტექტურითა და შავი ზღვის ეკოლოგიური სისტემის ანალიტიკოსის სამუშაო ადგილის ინტერფეისის დაპროექტება მულტიმედიური მონაცემთა ბაზების გამოყენებით.

საქართველოს საზღვაო პორტებში, ნავთობსადენის ტერმინალებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების დადგენის მიზნით 2016 წლის აპრილის, მაისისა და ივნისის თვეში განხორციელდა საველე-სარეკოგნოსცირებო სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ითვალისწინებდა ჩვენ მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილებში შავი ზღვის წყლის ანალიზის აღებას და მის ლაბორატორიულ გამოკვლევას როგორ სტაციონარულ, ასევე არასტაციონარულ პირობებში [46].

საკვლევი ტერიტორიის სენსიტიური უბნები, ანუ წერტილების მდებარეობები განსაზღვრულ იქნა GPS კოორდინატებით, რომლებიც დატანილ იქნა ციფრულ რუკაზე (სურ. 13), ხოლო სენსიტიურ უბნებზე აღებული შავი ზღვის წყლის სინჯების ლაბორატორიული კვლევის შედეგები კი მოყვანილია ცხრილებში 2, 3, 4.



სურ. 13. შავი ზღვის აკვატორიაში
სენსიტიური წერტილების მდებარეობა

ცხრილი 2

საქართველოს საზღვაო პორტებსა და ნავთობსადენის
ტერმინალებში 2016 წლის 27 აპრილის
საველე კვლევების მონაცემები

№	ადგილის დასახელება	GPS - კოორდინატები		ფარდობითი ტემპერატურა (t/t ₂)	წყლის მჟავიანობა (pH)	მარილიანობა (TDS)
		X	Y			
1	2	3	4	5	6	7
1	მდინარე ჭოროხი	41600395	41548731	0,91	8,33	12,8
2	ბათუმის პორტი	41662161	41678955	0,86	8,08	6,97
3	მდინარე სუფსა	42016078	41753594	0,90	8,30	11,2
4	ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენის ტერმინალი	42038751	41735281	0,83	8,38	12,3
5	მდინარე რიონი	42132201	41660636	0,87	8,37	13,1
6	ფოთის პორტი	42147724	41655297	0,83	8,22	6,25
7	ყულევის ნავთობის ტერმინალი	42276524	41631693	0,78	8,38	12,3
8	მდინარე ხობისწყალი	42259918	41637102	0,87	8,33	13,5
9	ანაკლიის მშენებარე პორტი	42382543	41577101	0,78	8,29	10,4
10	მდინარე ენგური	42389302	41560674	0,78	8,32	9,29

ცხრილი 3

საქართველოს საზღვაო პორტებსა და ნავთობსადენის
ტერმინალებში 2016 წლის 27 მაისის
საველე კვლევების მონაცემები

№	ადგილის დასახელება	GPS - კოორდინატები		ფარდობითი ტემპერატურა (t/т)	წყლის მჟავიანობა (pH)	მარილიანობა (TDS)
		X	Y			
1	2	3	4	5	6	7
1	მდინარე ჭოროხი	41600395	41548731	0,79	8,53	12,3
2	ბათუმის პორტი	41662161	41678955	0,76	8,42	11,80
3	მდინარე სუფსა	42016078	41753594	0,78	8,60	6,22
4	ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენის ტერმინალი	42038751	41735281	0,94	8,53	10,8
5	მდინარე რიონი	42132201	41660636	0,58	8,56	12,1
6	ფოთის პორტი	42147724	41655297	0,58	8,01	6,34
7	ყულევის ნავთობის ტერმინალი	42276524	41631693	0,89	8,53	5,84
8	მდინარე ხობისწყალი	42259918	41637102	0,78	6,56	7,09
9	ანაკლიის მშენებარე პორტი	42382543	41577101	0,92	8,03	10,82
10	მდინარე ენგური	42389302	41560674	0,89	8,53	5,84

ცხრილი 4

საქართველოს საზღვაო პორტებსა და ნავთობსადენის
ტერმინალებში 2016 წლის 6 ივნისის
საველე კვლევების მონაცემები

№	ადგილის დასახელება	GPS - კოორდინატები		ფარდობითი ტემპერატურა (t/tz)	წყლის მჟავიანობა (pH)	მარილიანობა (TDS)
		X	Y			
1	2	3	4	5	6	7
1	მდინარე ჭოროხი	41600395	41548731	0,92	8,22	6,60
2	ბათუმის პორტი	41662161	41678955	0,86	8,42	11,80
3	მდინარე სუფსა	42016078	41753594	0,85	8,13	6,15
4	ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენის ტერმინალი	42038751	41735281	0.90	8,36	11,67
5	მდინარე რიონი	42132201	41660636	0,78	7,84	6,37
6	ფოთის პორტი	42147724	41655297	0,78	8,65	13,34
7	ყულევის ნავთობის ტერმინალი	42276524	41631693	0,78	8,37	15,12
8	მდინარე ხობისწყალი	42259918	41637102	0,82	7,71	6,76
9	ანაკლიის მშენებარე პორტი	42382543	41577101	0,76	8,52	13,45
10	მდინარე ენგური	42389302	41560674	0,77	8,32	12,67

სურათზე 14 მოცემულია მდინარე ენგურის კალაპო-
ტიდან წყლის სინჯების აღებისა და გაზომვის პროცესი.



სურ. 14. მდ. ენგურზე წყლის სინჯების აღებისა და გაზომვის პროცესი (ანაკლიის მიმდებარე ტერიტორია)

ამრიგად, საქართველოს საზღვრებში ჩატარებული საველე-სამეცნიერო კვლევებისა და წყლის სინჯებზე ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2016 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში წყლისა და ჰაერის ფარდობითი ტემპერატურის მნიშვნელობები იცვლებოდა (t_1/t_2) = $0,76 \pm 0,92$, შავი ზღვის წყლის მარილიანობის მნიშვნელობა (TDS) $5,84 \pm 15,12$, ხოლო წყლის მჟავიანობა (pH) კი $7,71 \pm 8,65$ საზღვრებში.

2.3. შავი ზღვის ძირითადი მდინარეების ესტუარებში საველე-სამეცნიერო კვლევის შედეგები

საქართველოს საზღვრებში შავი ზღვის სანაპიროზე ძირითადი მდინარეების – ჭოროხის, კინტრიშის, ნატანების, სუფსის, ხობის წყლის, რიონისა და ენგურის ესტუარებში თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობის შესაფასებლად 2015 წლის ივნის-ივლისის თვეებში განხორციელდა საველე-სამეცნიერო კვლევები [32].


საველე-სამეცნიერო კვლევის მიზანს წარმოადგენდა შავი ზღვის აუზის საქართველოს ზემოთ დასახელებული ძირითადი მდინარეების ესტუარების ფართობების დაზუსტება GPS-კოორდინატებში და მათი დატანა ციფრულ რუკებზე, ზღვის წყლისა (t_1) და ჰაერის (t_2) ტემპერატურის დაფიქსირება, ასევე ზღვის მოწყვლად უბნებსა და ესტუარებში ზღვის წყლის ანალიზის აღება და მათი ქიმიური ლაბორატორიული გამოკვლევა [32]. სურათზე 15 (ა-თ) მოცემულია შავი ზღვის აკვატორიაში საქართველოს ზემოთ აღნიშნული ძირითადი მდინარეების ესტუარების კონტურები ციფრულ რუკაზე, ხოლო ცხრილში 5 – GPS წერტილების კოორდინატები და შესაბამისი ფართობები. მე-6 ცხრილში მოცემულია მდინარეთა ძირითადი ჰიდროლოგიური მაჩვენებლები.

საველე კვლევებისას მდინარეთა ესტუარებში გაზომილ იქნა ჰაერისა და წყლის ტემპერატურები, ასევე აღებულ იქნა წყლის სინჯები, რომლებსაც ჩაუტარდათ


ლაბორატორიული ანალიზი და დადგინდა წყლის მჟავიანობისა (pH) და მარილიანობის (TDS) რაოდენობრივი მაჩვენებლები. ლაბორატორიული ანალიზის შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში. ადგილზე ზღვის წყლის ტემპერატურა იცვლებოდა $t_1=18\div 24^{\circ}\text{C}$, ხოლო ჰაერის კი $t_2 = 24\div 30^{\circ}\text{C}$ საზღვრებში.




ა) მდ. ჭოროხი




ბ) მდ. კინტროპი



გ) მდ. ნატანები



დ) მდ. სუფსა



ე) მდ. რიონი (სამხრეთ განშტოება)



ვ) მდ. რიონი (ჩრდილოეთ განშტოება)



ზ) მდ. ხობისწყალი



თ) მდ. ენგური

სურ. 15. ციფრულ რუკაზე შავი ზღვის აუზის ძირითადი მდინარეების ესტუარის საერთო ხედი

საქართველოს შავი ზღვის აუზის
ძირითადი მდინარეების ესტუარის მონაცემები

მდინარის დასახელება	წერტილების კოორდინატები	ესტუარის ფართობი (კმ ²)
1	2	3
მდ. ჭოროხი	1. X – 41602473, Y – 41571921; 2. X – 41600256, Y – 41570205; 3. X – 41604317, Y – 41561104; 4. X – 41618219, Y – 41539946; 5. X – 41628109, Y – 41550019; 6. X – 41620934, Y – 41573706; 7. X – 41610627, Y – 41569531; 8. X – 41604571, Y – 41573116.	5,465
მდ. კინტრიში	1. X – 41797895; Y – 41766410; 2. X – 41799470; Y – 41763083; 3. X – 41805091; Y – 41756342; 4. X – 41813037; Y – 41760451; 5. X – 41806051; Y – 41765812; 6. X – 41802590; Y – 41768295.	0,861
მდ. ნატანები	1. X – 41907237, Y – 41769259; 2. X – 41.909746, Y – 41766637; 3. X – 41910538, Y – 41761913; 4. X – 41917843, Y – 41754145; 5. X – 41930396, Y – 41754482; 6. X – 41927038, Y – 41763958; 7. X – 41913224, Y – 41767610	1,130
მდ. სუფსა	1. X – 42017175, Y – 41752815; 2. X – 42011160, Y – 41748014; 3. X – 42009462; Y – 41744850; 4. X – 42018012, Y – 41738489; 5. X – 42025248, Y – 41730800; 6. X – 42019232, Y – 41731400;	1,488

ცხრილი 5 (გაგრძელება)

1	2	3
	7. X – 42023220, Y – 41741095; 8. X – 42022795, Y – 41748376.	
მდ. რიონი (სამხრეთ განშტოება)	1. X – 42140385; Y – 41655681; 2. X – 42122645; Y – 41650961; 3. X – 42124069; Y – 41635599; 4. X – 42.146301; Y – 41592190; 5. X – 42181975; Y – 41595853; 6. X – 42147957; Y – 41642238; 7. X – 42149272; Y – 41646819; 8. X – 42147875; Y – 41654381	20,390
მდ. რიონი (ჩრდილოეთ განშტოება)	1. X – 42172443; Y – 41645811; 2. X – 42173884; Y – 41629814; 3. X – 42194850; Y – 41.593968; 4. X – 42234461; Y – 41609054; 5. X – 42261137; Y – 41626465; 6. X – 42244261; Y – 41632567; 7. X – 42216245; Y – 41631737	14,551
მდ. ხობისწყალი	1. X – 42272625; Y – 41634087; 2. X – 42269928; Y – 41630695; 3. X – 42269375; Y – 41627515; 4. X – 42270267; Y – 41624979; 5. X – 42277002; Y – 41623763; 6. X – 42281359; Y – 41627407; 7. X – 42276524; Y – 41631693	1,009
მდ. ენგური	1. X – 42386917; Y – 41564536; 2. X – 42383361; Y – 41561612; 3. X – 42379605; Y – 41552244; 4. X – 42387503; Y – 41546123; 5. X – 42390662; Y – 41546307; 6. X – 42392457; Y – 41548551; 7. X – 42392600; Y – 41557359;	1,379

ცხრილი 6

საქართველოს შავი ზღვის აუზის ძირითადი მდინარეების
ჰიდროლოგიური მაჩვენებლები

№	მდინარის დასახელება	წყალშემკრები ფართობი, კმ ²	აბსოლუტური ნიშნული, მ	მდინარის სიგრძე, კმ	საშუალო ქანობი, <i>i</i>	აუზის საშუალო სიმაღლე მონაკვეთზე, მ	ჩამონადენის საშუალო მოდული, ლ/წმ.კმ ²	საშუალო წლიური ხარჯი, მ ³ /წმ
1	ჭოროხი (საქართველოს საზღვრებში)	368,1	55,0	26,0	0,00211	1420	57,5	283,0
2	კინტიში	284,0	2450,0	25,2	0,09722	835	65,0	18,5
3	ნატანები	489,7	2475,0	60,0	0,04125	870	50,0	24,5
4	სუფსა	1105,5	2709,7	108,0	0,02509	970	41,0	45,2
5	რიონი (სამხრეთ განშტოება)	13418,2	2347,0	327,0	0,00717	1660	38,6	415,0
6	რიონი (ჩრდ. განშტოება)	13418,2	2347,0	327,0	0,00717	1660	38,6	415,0
7	ხობისწყალი	1340	2325,6	150,0	0,01550	590	46,0	51,2
8	ენგური	4058,5	2614	213,0	0,01227	1840	48,5	173,0

საველე-სამეცნიერო კვლევების პერიოდში ჩვენი ყურადღება ასევე გამახვილდა საქართველოს საზღვაო პორტებში (ბათუმი, ფოთი, ანაკლია) და ნავთობსადენის ტერმინალების (ბაქო-თბილისი-სუფსა და ყულევი) აკვატორიაში წყლის მჟავიანობისა (pH) და მარილიანობის (TDS) რაოდენობრივი მაჩვენებლების ცვლილებაზე. საველე კვლევის შედეგები მოყვანილია მე-7 ცხრილში.

